საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუდუკი

დუდუკი

დუდუკი, აღმოსავლური წარმოშობის ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი.

შედგება ლულის, მილაკის, ხუფისა და რეგულატორისაგან. ამზადებენ უმთავრესად ჭერმის, აგრეთვე თუთისა და ბზის ხისაგან. ლულაზე ზემოდან ამოჭრილია 8, ხოლო ქვემოდან 1 ნახვრეტი (თვალი). ლულაში ჩადგმულია ლულის ან ლელქაშის ბრტყელი ორმაგი მილაკი. დ-ის ბგერათა რიგი დიატონურია. ნახვრეტების ნაწილობრივ დახშვისას მიიღება ქრომატული ბგერათრიგიც. დ. არის როგორც საანსამბლო, ისე სოლო საკრავი (იხ. დასტა). აქვს ნაზი, რბილი ხმოვანება.

XIX ს-იდან ძალზე გავრცელებული იყო ძვ. თბილისში. დროთა განმავლობაში მას რამდენადმე შეუცვლია პირვანდელი სახე და ორიგ. თბილისური იერი მიუღია (რამაც ვერსიაც კი გააჩინა მისი ქართ. წარმომავლობის შესახებ). დ-ს უკრავდნენ გლოვის (მასრაფი, ხამუხრა) და ლხინის (დილის საარი) დროს. მედუდუკეებს იწვევდნენ „ბატონებით" დაავადებული ბავშვების სამკურნალოდაც (იავნანას ჰანგის შესასრულებლად). სახელგანთქმული მედუდუკეები იყვნენ: არტემ კუპრიაშვილი (კუპრია, 1830–1916), პავლე მაისურაძე (1848–1917), დათა ზუბიაშვილი (1874–1933), ხაჩიკ ტალგაუკოვი (1907–1962), ქსოვრელები და სხვ.

გ. ჩხიკვაძე